პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

5 თებერვალი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 30 (14940)

## ხიდისთავის კოლმეურნეებთან

**გორი.** („კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტებისაგან). ხიდისთავის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებას, რომელიც ვაიმართა, გუშინწინ, 3 თებერვალს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე. კრების დაწყებამდე იგი იყო გორის რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაობლობაზე და ნაჯარმაგევის მეგოსტნეობის საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურო მეურნეობაში. აქ იგი ესაუბრა ფაბრიკის მუშაებლებს, მეგოსტნეებს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე ვგეჭდავთ გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის საანგარიშო კრების ანგარიშს.

სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე გორის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეებთან.

ფოტო ბ. ბაგუნიასი.

## ახალი ხუთწლედის მოსავალი

**შ**ეგებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა, — ამბობს ქართული ანდაზა. სწორედ ზაძთრის ამ უკანასკნელ თვეში დიდი პასუხსაგები საშუშაოებია სოფლად. კიდევ რაოდენიმე კვირა, და გამოიღვიძებენ ველ-ინადვრეები, მალე გაზაფხული მოუსმობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მზრომელეს მეცხრე ხუთწლედის პირველ წლის გეგმების წარმატებით შესრულებისაკენ. ამიტომ თებერვლის თვითეული დღე, საათიც კი გადაწყვეტია საგაზაფხულო საქუშაოებისთვის მზადების საქმეში.

ამას კარგად ითვალისწინებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებია მშრომელები. ამას ნინათ საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქმა მიაართვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი და ამ საფუძველზე ამალი ძალით გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის ნაიეკარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად მეხვედრისათვის.

ახლა მთავარია დავაჩქაროთ მთელი ტექნიკის რემონტი, მოვამზადოთ დარაიონებული ჯიშის მაღალი კლასის კონდიციური თესლი, მოვიმარაგოთ მინერალური სასუქები. უნდა გვახსოვდეს, ოომ სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველია მარცვლეულის წარმოების გადიდება. წელს სახელმწიფოს უნდა მიეუიდოს 93 ათასი ტონა მარცვლეული, 850 ათასი ტონა ყურძენი, 249 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ძარშანდელზე გაცილებით მეტი ბოსტნეული, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ხილი, მეცხოველეობის პროდუქტები.

ამ ამოცანების შესრულებისათვის ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა დარაზმონ სოფლის მშრომელები, მოაწყონ შეჯიბრება ხორბლის, სიმინდის, ხოიის, ლობიოს, ყურძნის, ჩაის ნედლეულის და სხვა კულტურების საშუალო მოსავლიანობის გადიდებისათვის, ამავითვე დასახონ ეფექტური ღონისძიებანი გეგმების აუცილებლად შესრულებისათვის. საჭიროა გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, უფრო სწულად ავითვისოთ თესლბრუნვა, გონივრულად გამოვიყენოთ სარწყავი ფართობები და წყალი. მინერალური და ორგაული სასუქები.

წელს საგაზაფხულო კულტურების დასათესად გეგმით საჭიროა მარცვლეული და მარცვლეული პარკოსანი კულტურების 143.765 ცენტნერი თესლი, უალტიურად გამოყოფილია დავალებაზე 7 ათასი ცენტნერით მეტი თესლი. მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. მთავარი ის არის, რომ გვქონდეს კონდიციური თესლი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით 131.942 ცენტნერი შემოწმებული თესლიდან 68 ათასი ცენტნერი უკონდიციოა. მართალია, მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები, მაგრამ ეს სამუშაო რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში კვლავ ჩამორჩება. სიმინდის თესლი შემოწმებულია 83.662 ცენტნერი, აქედან უკონდიციო აღმოჩნდა 12 პროცენტი.

საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად დიდი როლი უნდა შეასრულონ სპეციალისტებმა — აგრონომებმა, მექანიზატორებმა. ისინი მეცნიერულად უნდა უდგებოდნენ საქმეს, იჩენდნენ შემოქმედებითს დამოკიდებულებას საჭირო და აუცილებელი აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში. აგრონომის მოვალეობა ის არის, რომ კი არ ელოდოს რაიმე განსაკუთრებულ მითითებას ან ეგრეთწოდებულ მზა რეცეპტს, არამედ თვითონ გამოიჩინოს ინიციატივა და იმოქმედოს შექმნილი ვითარების კვალობაზე. ამასთან ერთად ყოველმხრივ უნდა გავითვალისწინოთ შეძენილი გამოცდილება, მეცნიერთა რჩევა-დარიგება და ამ საფუძველზე მკვეთრად ავამაღლოთ მინდვრების ნაყოფიერება, თვითეული ჰექტარი მიწა ვაიძულოთ მოგვცეს იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც შეუძლია.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მათს ხელმძღვანელებს სწორად განაწილონ კადრები, უნარიანად გამოიყენონ მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმები. მიიღწონ ყველა დარგის და კერძოდ, მეცხოველეობის რენტაბელობას.

სწორად იქცევიან სოფლის ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ბებერვლის დღეებში სისტემატურად ამოწმებენ და კონკრეტულ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობათა გამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს. ამოწმებენ ტექნიკის მდგომარეობას, სათესლე ფონდებს, შრომის ორგანიზაციის დაყენებას. ამ საქმეში მათ გვერდში უდგანან სახალხო კონტროლის კომიტეტები და ჯგუფები. ასეთი დათვალიერება, კოლექტიური აზრი და გადაწყვეტილება საშუალებას იძლევა მალე გამოსწორდეს შემჩნეული ბაკლოვანებანი. უნდა შევნიშნოთ ისეთი ვითარება, რომ არც ერთი ცენტნერი თესლი არ იყოს უკონდიციო, არც ერთი ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა არ გაგიდეს სახელოსნოდან, თუ არა აქვს საბარანტიო პასპორტი.

რედაქციაში მოდის ცნობები, რომ მთელ რიგ რაიონებში ჯეროვნად მოაწყეს ტექნიკის რემონტი. „საკსოფლტექნიკის“ ზუგდიდის განყოფილებაში ივნვარში შეკეთდა 10 ჩაის საკრეფი მანქანა, „საქართველო“, 9 თვითმავალი კულტივატორი. მექანიზატორებმა პირობა დადეს პირველი კვარტალის გეგმები მაღალხარისხოვნად შეასრულონ 25 მარტისათვის და ეს წარმატებები მიუძღვნან მშობლიური პარტიის XXIV ყრილობას.

მინდვრის სამუშაოთა მოახლოებასთან დაკავშირებით კარგი ინიციატივა გამოიჩინეს „საქსოფლტექნიკის“ ზნაურის განყოფილების მექანიზატორებმა, რომელთა დევიზია: „ტრაქტორები და სხვა მანქანები შეგვაკეთოთ გარანტიით“! ამ მიზნით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ორგანიზატორები არიან მექანიზატორები გ. ნეფარიძე, ს. სადღობელაშვილი, დ. ხუციშვილი, ს. ჭანტურიძე, დ. ფუხაევი. ასეთივე შემართებით შრომობენ წიფურაოელი, სიღნაღელი, საგარეჯოელი, ყვარელელი, ახალციხელი, მახარაძელი, ცხაკაიელი, ჩხოროწყუელი, გეგეჭკორელი, ხელი, ოჩამჩირელი მექანიზატორები.

ახლა ამოცანა ის არის, რომ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე ვიზრუნოთ მექანიზატორთა შრომის რაციონალური ორგანიზებისათვის, მინდვრად აგრეგატების მომსახურების გუშმაგებისათვის. დროულად უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ ბესებისათვის. დროულად უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ მეურნეობებში გვყავდეს ტექნიკის გამწყობ ოსტატთა ბრიგადები, წინასწარ უნდა განვსაზღვროთ გაზაფხულზე სამუშაოთა მოცულობა და სიძნელე.

საჭირო იქნება ტრაქტორები ვამუშაოთ სრული დატვირთვით, ორ ცვლად, თვითეულ მეურნეობაში წესრიგზე მოვიყვანოთ საველე ბანაკები, მოვიფიქროთ მინდვრებში მომუშავეთა კვებისა და დასვენების სისტემა. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს სოფლის ახალგაზრდობამ, რომლებმაც კვლავაც უნდა გვიჩვენონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სანიმუშოდ მომზადება და ყველა სამუშაოს წარმატებით დამთავრება. ეს იმას ნიშნავს, რომ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს, კვლავაც მოვიკოფოთ დიდი წარმატებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

## სომხეთის საბჭოთა არქიტექტურის დღეები მოსკოვში

**8 თებერვალს** არქიტექტორის ცენტრალურ სახლში გაიხსნა სომხეთის საბჭოთა არქიტექტურის მიღწევებისადმი მიძღვნილი გამოფენა. ამ გამოფენით დაიწყო სომხური საბჭოთა არქიტექტურის დღეები მოსკოვში რესპუბლიკის 50 წლისთავთან დაკავშირებით. სომეხი არქიტექტორები შეხვდნენ თავიანთ მოსკოველ კოლეგებს.

(საკდესი).

ახალი წიგნი

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების კრებული ლატვიურ ენაზე

**რიგა,** 1 თებერვალი. (საკდესი). ლატვიურ ენაზე გამოვიდა პირველი წიგნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვების და სტატიების ორტომეულისა „ლენინური კურსით“.

ორტომეულს უშვებს გამომცემლობა „ლიესმა“.

## ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა

**ერევანი.** სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ „ჰაიასტანმა“ რუსულ ენაზე გამოუშვა წიგნი „ამიერკავკასიის ხალხთა საუკუნოვანი მეგობრობა“. წიგნის ავტორი აკადემიკოსი ც. პ. ალიანი მკაფიო, დამაჯერებელი მაგალითებით გვიჩვენებს ამ მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალას, მის როლს ხალხთა ბრძოლაში ოქტომბრის იდეების გამარჯვებისათვის.

(საკდესის კორ.).

## „მოლოდის“ თარგმანები

**კიევი.** ახალგაზრდა ქართული პოეზიის ანთოლოგია „ოქროს მტევანი“ გამოსცა უკრაინულ ენაზე კიევის გამომცემლობა „მოლოდმა“ „ახალგაზრდობამ“.

კრებულში დაბეჭდილია ორმოცდაათი ქართველი პოეტის ლექსები, რომლებიც გამსჭვალულია სამშობლოს, კომუნიზმის მშენებელი ხალხის სიყვარულით. ეს ლექსები ახალგაზრდა უკრაინელმა მწერლებმა თარგმნეს.

მოძმე რესპუბლიკების პოეტთა თარგმანებს თვალსაჩინო ადგილი უკავია გამომცემლობა „მოლოდის“ გეგმებში. უკვე გამოვიდა ბელორუსული პოეზიის კრებული, დასაბეჭდად მზადდება რუსეთის, მოლდავეთის, ესტონეთის ახალგაზრდა პოეტთა ნაწარმოებები.

(საკდესის კორ.).

## დამკვრელები შრომის ვახტზე

### დაწინაურდნენ მეგამბეები

● **სკკპ XXIV ყრილობის** ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისელი მეგამბეები და ერთსულოვნად გადაწყვიტეს პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 15 ათასი მანეთის პროდუქცია. ბამბის ფაბრიკის საამქროებში ფართოდ გაჩაღდა ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლა. შედეგად ივნვარში მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით მიიღო 6 ათასი მანეთის ბიგროსკოპიული და საკერავი ბამბა.

შრომაში დაწინაურდა ბიგროსკოპიული ბამბის საამქრო, რომელსაც ბ. გამყრელიძე ხელმძღვანელობს. შრომითმა კოლექტივმა იანვრის 20 დღის დავალებას 2 პროცენტით გადაჭარბა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვ. მიქაძის ბრიგადამ, რომელიც ყოველ დავალებას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

### რეზინის 250 ნაკეთობა

● **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ 25 მარტს შეასრულოს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 100 ათასი მანეთის პროდუქცია და პარტიის XXIV ყრილობის გახსნის დღეს იმუშაოს დაზოგილი ნედლეულით.

ქარხნის კოლექტივმა პირველი წარმატება მოიპოვა—ვადამდე შეასრულა იანვრის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათეულ ათასობით მანეთის საქონლო პროდუქცია. მიმდინარე წლის დამდეგიდან აქ ათასობით მანეთის მანეთის პროდუქცია.

● **საწარმოს** კოლექტივმა გამართულად დაიწყო მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით მომხმარებელს გაუგზავნა რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია. დაწინაურდნენ პარფიუმერიისა და კოსმეტიკის საამქროები (უფროსები მ. მიმინოშვილი და ჯ. უკლება). ამ საამქროებში გამოშვებულ 72 დასახელების პროდუქციას კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში. შარშან ათვისეს 7 სახის ახალი პროდუქციის გამოშვება და მასობრივად წარმოებს მისი დამზადება.

ფაბრიკის მშრომელები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შეასრულონ და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

### მეთამბაქოეებმა იკისრეს

● **ბრესტ** „საქთამბაქოს“ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის 5-წლიანი გეგმა ვადაზე ადრე — 10 ოქტომბრისათვის შეასრულეს, ხოლო 1970 წლის გეგმა — 11 დეკემბრისათვის. გეგმის ზევით გამოუშვეს 8.100 ათასი მანეთის პროდუქცია.

ჩაებნენ რა სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი. და გადაწყვიტეს:

1971 წლის I კვარტალის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა 29 მარტისათვის შეასრულონ, გეგმის ზევით გამოუშვან 655 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 5 პროცენტით, დაზოგონ ნედლეული და მასალები 10 ათასი მანეთისა, სათბობი — 10 ტონა, ელექტროენერგია — 8.000 კილოვატ-საათი, მიიღონ 100 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ფართოდ გაიშალა შეჯიბრება. პირველი წარმატება მოპოვებულია, თითქმის ყველა საწარმოში ივნვრის დავალება გადაჭარბებით შესრულდა. გამოშვებულია ზეგეგმითი პროდუქცია.

### 21 ათასი მანეთი მოგება

● **მახარაძე.** (საკ. კორ.). ახრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ი. მახარაძე) სანაკებო შედეგებით დაამთავრა გასული ხუთწლედი; ახლა კი მთელი მონდომებით იბრძვის ახალ-ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის. ამაზე მეტყველებს იანვრის შედეგები. აქ გასული თვის გეგმა ვადამდე გაანაღდეს. მარტო 15 დღეში მიღებულია 21 ათასი მანეთი მოგება ნაცვლად დაგეგმილი 15 ათასი მანეთისა. ამ პერიოდში დაიზოგა 8 ათასი მანეთის ნედლეული. თავი გამოიჩინეს წარმოების მოწინავე ადამიანებმა მ. კვაჭაძემ, გ. ულანოვამ, ზ. ტრაპაიძემ. მახარაძელ ფეიქრებს გადაწყვეტილი აქვთ იანვრის დავალება 25 იანვრისათვის შეასრულონ.

## ალჟირის სამხედრო დელეგაცია თბილისში

**თბილისში** სტუმრად მყოფი ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრი, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს გენერალური მდივანი აბდელკადერ შაბუ, 4 თებერვალს ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქსა და მის გარეუბნებს.

ალჟირელი სტუმრები იყვნენ რესპუბლიკის დედაქალაქის ძველ და ახალ საცხოვრებელ რაიონებში, მცხეთაში, ეწვივნენ მებაღე დეკორატორს მიხეილ მამულაშვილს.

— თბილისს, — თქვა აბდელკადერ შაბუმ, — დიდი წარსული და შესანიშნავი აწმყო აქვს. აქ მშვენივრად არის შერწყმული ჭაღარა წარსული და ალმაფრთოვანებელი აწმყო.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის სახელით ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრს, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს გენერალურ მდივანს აბდელკადერ შაბუს სადილი გაუმართეს. სადილად აბდელკადერ შაბუსთან ერთად იყვნენ ალჟირის სამხედრო დელეგაციის წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გენერლები და ოფიცრები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სადილის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, წარმოთქვეს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, ალჟირელი ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების სადღეგრძელო, საბჭოთა კავშირისა და ალჟირის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის სადღეგრძელო.

საღამოს ალჟირის სამხედრო დელეგაციის წევრები თბილისის ოფიცერთა სოლჟო სახლში დაესწრნენ შშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს. (საქდესი).

## მაღალი ჯილდო

**მოსკოვიდან** მოვიდა ცნობა, რომ თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის კოლექტივმა გაყალი წლის მეოთხე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ქვეყნის მონათესავე საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვა პირველი ადგილი და ვარდამავალი წითელი დროშა. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმები, მიიღო რამდენიმე ათეული ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. ამ ბოლო სამი წლის მანძილზე ქარხანას არ მიუღია რეკლამაციები. საწარმოს კოლექტივმა ხუთწლედი დაამთავრა 25 აგვისტოს.

ჩაბმულია რა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. (საქდესი).

## გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ს. ბოლქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**საბჭოთა** და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გიორგი სოლომონის-ძე ბოლქვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1971 წლის 4 თებერვალი.

## კომუნისტურ შაბათობაზე

**მთელ** ჩვენს ქვეყანაში მხურვალედ დაუჭერეს მხარი მოსკოველთა მოწოდებას, რომ 17 აპრილს გამოვიდნენ კომუნისტურ შაბათობაზე პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავად.

ამ დღეს იეორის ქარხნის მეფოლადეები ფოლადს გამოადნობენ დაზოგილი სათბობითა და ელექტროენერგიით. საწარმოში გაიშალა ბრძოლა საპატიო უფლებისათვის — 17 აპრილს ეშრომონ მარტენის ღუმელთან. შეჯიბრებას სათავეში უდგას სკკპ XXIV ყრილობის დელეგატის ნ. არსენტიევის ბრიგადა. ივნვარში ბრიგადამ თითქმის ასი ტონა ფოლადი გამოადნო გეგმის გადამეტებით. იეორელმა მეტალურგებმა მთელი ნადნობის მეოთხედი ნაწილი წლის დამდეგიდან გრაფიკის გასწორებით გამოადნეს. დაზოგილი სათბობი და ელექტროენერგია საკმარისია სამი დნობისათვის.

კომუნისტურ შაბათობაზე ერთსულოვნად გამოვლენ ხარკოვის კიროვის სახელობის ტურბინმშენებლები. მუშებმა იკისრეს ამ დღეს დაამზადონ ათი ათასი მანეთის პროდუქცია.

უკიდურესი ჩრდილოეთის ბევრი მაღაროელისათვის დამკვრელური შრომის დღე იქნება 18 აპრილი, რადგან ჩვიდმეტი აპრილი აქ ჩვეულებრივი სამუშაო დღეა. ვორკუტის ქვანახშირის კომბინატის № 30 შახტის კოლექტივმა კრებაზე იკისრა ვალდებულება უსასყიდლოდ იმუშაოს დასვენების დღეს. ამ დღეს იმიერპოლარეთის მეშახტეები ამოიღებენ სულ ცოტა ორმოცდახუთი ათას ტონა კოქსად ქვანახშირს. (საკდესის კორ.).

# ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲠᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

### ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲡ, ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

□

ᲑᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ. ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲒᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲡᲐᲪᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘᲪ ᲗᲐᲛ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲒᲠᲩᲘᲗᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲕᲣᲗᲣᲚᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲠᲗᲘᲛᲝᲠᲘᲜᲔ ᲛᲝᲛᲠᲐᲫᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ. ᲒᲔᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲯᲐᲜᲓᲠᲗᲚᲘᲐ ᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲧᲣᲠᲘᲗ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ. ᲒᲔᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲘᲮᲔᲡᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ

# მსოფლიო ფაქტი

## გმობენ აგრესიის ესკალაციას

**ვაშინგტონი. 4 თებერვალი. (საკლესი).** ოფიციალური ვაშინგტონი კვლავ დაჟინებით უმალავს საზოგადოებრიობას, თუ როგორია ლაოსის წინააღმდეგ ამერიკა-საიგონის აგრესიის ნამდვილი მასშტაბი. „არავითარი კომენტარი“, — ასე უპასუხა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მ. ლერდმა სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის დახურული სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს, რომლებმაც მას შეკითხვები დაუყარეს ინდოჩინეთის ამბების გამო.

**ლონდონი. 4 თებერვალი. (საკლესი).** ლაოსში შეჭრამ აღაშფოთა ინგლისის ფართო საზოგადოებრიობა. ამერიკის აგრესია ლაოსის წინააღმდეგ, წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „მორნინგ სტარი“, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მტკიცებანი, თითქოს ახორციელებდეს ომის დეესკალაციას ვიეტნამში, აშკარა სიცრუეა, ხოლო ეგრეთწოდებული ვიეტნამიზაციის პოლიტიკა „ნიღბავს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას და ომის გაფართოებას ინდოჩინეთში“.

**ტოკიო. 4 თებერვალი. (საკლესი).** დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ამერიკის აგრესიას ინდოჩინეთში — მოითხოვა დღეს იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ.

იაპონიის სოციალისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნა იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საერთაშორისო ბიუროს გამგემ კანი კავასაკიმ, ნათქვამია, რომ იაპონიის სოციალისტური პარტია გმობს ამერიკის შეერთებულ შტატებს ინდოჩინეთში აგრესიული ომის ესკალაციისათვის ლაოსში ახალ შეჭრასთან დაკავშირებით და მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის ინტერვენცია ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე.

**ჰელსინკი. 4 თებერვალი. (საკლესი).** ლაოსში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ინტერვენციასთან დაკავშირებით ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის საპარლამენტო ფრაქციამ მტკიცე პროტესტი გაანცხადა ინდოჩინეთში აგრესიული მოქმედების შემდგომი გაფართოების წინააღმდეგ.

ფინელ პარლამენტართა განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ეს არის კიდევ ერთი მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მისწრაფებისა ჩაახშოს ხალხთა თავისუფლება და საფრთხე შეუქმნას საყოველთაო მშვიდობას.

### ფხენიანი

## თანამშრომლობა

**4 თებერვალი. (საკლესი).** ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საქონლის ურთიერთმიწოდებისა და გადასახდელების გრძელვადიან — 1971-75 წლების შეთანხმებას და საქონელბრუნვის 1971 წლის ოქმს.

ხელმოწერილი დოკუმენტებით გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირ-კორეის ვაჭრობის შემდგომი, მნიშვნელოვანი ზრდა მიმდინარე ხუთწლეულში.

### კაირო

## სტუმრად მეგობრებთან

**4 თებერვალი. (საკლესი).** საბჭოთა კოსმონავტები ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ა. გ. ნიკოლაევი და ვ. ი. სევასტიანოვი, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით, დღეს სამშობლოში გაემგზავრნენ.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ყოფნის დრო საბჭოთა კოსმონავტები შეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, მუშებს, ფელაჰებს და ინტელიგენციას, იყვნენ ასუანში, ალექსანდრიასა და ლუქსორში.

### ალჟირი

## მიზანი: ეკონომიკის აღმავლობა

**4 თებერვალი. (საკლესი).** ალჟირის მშრომელები აქტიურად უნდა ჩაებან ბრძოლაში ეკონომიური მშენებლობისათვის, რომლის მიზანია ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა, სამეშაო ყველა ალჟირელისათვის და თავისუფალი და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა რესპუბლიკის თვითეული მოქალაქისათვის, განაცხადა ალჟირის რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰუარი ბუმედიენმა ტრანსპორტის მუშათა მიტინგზე.

შეიზო რა ალჟირში უცხოელთის ნავთობის კომპანიების საქმიანობას, რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ ეს კომპანიები უდიდეს მოგებას იღებენ ალჟირის ნავთობის ექსპლოატაციის შედეგად. ჩვენ მოვითხოვთ, რომ უცხოელებმა ცნონ ალჟირელი ხალხის სუვერენული უფლება სარგებლობდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრით.

## ნიუ-იორკი — მთვარეზე ნაბიჯი დარჩა

**4 თებერვალი. (საკლესი).** „აპოლონ-14“ ამერიკული კოსმოსური ხომალდი მიუახლოვდა მთვარეს და გავიდა მთვარისირგვლივ ორბიტაზე. გუშინ კოსმონავტები შეპარდი და მიტჩელი ორსაათნახევრიან ეკიპაჟის ნაკვეთურიდან გადავიდნენ მთვარის კაბინაში, რათა შეემოწმებინათ საბორტო სისტემები. მათი გადასვლა ტელევიზიით უჩვენეს დედამიწაზე. სეანსი 42 წუთს გაგრძელდა. კოსმონავტები უჩვენებდნენ ერთმანეთს, ეკიპაჟის ნაკვეთურის შიგნითა ხედს, მთვარის კაბინაში გადასვლის პროცესს, კაბინის შინაგან აგებულებასა და მთვარის ხედს ხომალდის ნარკმლიდან.

დასვენების მორიგი პერიოდის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ კოსმონავტები გააღვიძეს, რათა მათ მოეწესრიგებინათ ნარჩენების ბორტიდან ნარჩენების გადასაყრელ სისტემაში. სარჩელებში ფანგბადი ეონავდა და წნევა კაბინაში რამდენადმე დაეცა.

გუშინ საღამოს ფრენის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ მთვარეს კაბინის საბორტო სისტემების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ბატარეაში ძაბვა ნორმალურზე რამდენადმე დაბალია. ეს მოწმობდა ბატარეის საერთო უწესივრობას და ამ შემთხვევაში ხელი უნდა აეღოთ მთვარეზე დაჯდომისაგან.

5 საათსა და 01 წუთზე მოსკოვის დროით მოეწყო ხომალდის ტრაექტორიის მეორე და უკანასკნელი კორექცია. 5 საათსა და 30 წუთზე მიტჩელი და შეპარდი კვლავ გადავიდნენ მთვარის კაბინაში ბატარეის შესამოწმებლად. მაგრამ დეფექტები ვერ აღმოაჩინეს. რამდენადაც ბატარეაში ძაბვა ‘ალარ დაცემულა, ფრენის ხელმძღვანელებმა მიიჩნიეს, რომ შეიძლებოდა მიეცათ ნებართვა მთვარეზე დასაჯდომად.

9 საათსა და 47 წუთზე ხომალდი მთვარეს მოეფარა და მასთან კავშირი შეწყდა. 10 საათსა და 01 წუთზე ჩართეს სამარშო ძრავა, რომელმაც იმუშავა 6 წუთსა და 12 წამს. „აპოლონ-14“ ხომალდის სიჩქარე შემცირდა და იგი გავიდა თითქმის გაანგარიშებულ ელლიფსოიდურ ორბიტაზე. პერისელენის სიმაღლე შეადგენს 108 კილომეტრს, აპოსელენისა — 314 კილომეტრს.

10 საათსა და 42 წუთზე მთვარეზე დაეცა მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხური. გაანგარიშების თანახმად, ამის შედეგად მთვარეზე წარმოიშვა 10 მეტრი სიღრმისა და 45-60 მეტრი დიამეტრის კრატერი, ხოლო მთვარიდან აღმართა 100 კილომეტრი სიმაღლის მტვრის სვეტი.

საფეხურის დაცემით გამოწვეული სეისმური რყევა აღრიცხა სეისმომეტრმა, რომელიც 1969 წელს დადგეს მთვარეზე „აპოლონ-12“ ხომალდის კოსმონავტებმა.

მანამდე კოსმონავტებმა მოახერხეს გადაეღოთ უკანასკნელი საფეხური სექსტანტის მეშვეობით.

კოსმონავტები იწყებენ მზადებას, რათა 5 თებერვალს დაჯდნენ მთვარეზე.

## საკლესის განცხადება

**უკანასკნელ** დღეებში მკვეთრად გართულდა ვითარება ინდოჩინეთში. მოდის ცნობები, რომ საიგონის სახმელეთო ჯარების მნიშვნელოვანი რაოდენობა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით შეიჭრა ლაოსში. ამერიკის ავიაცია ყოველდღიურად აწყობს მასირებულ თავდასხმებს ლაოსის ტერიტორიაზე, რომლებშიც მონაწილეობენ „ბ-52“ მძიმე ბომბდამშენები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დამქაშების მიერ ომის გავრცელება ლაოსის ტერიტორიაზე წარმოადგენს ამერიკის აქტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ახალ აშკარა დარღვევას, საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშად შებღალვას. ასეთი მოქმედება ნიშნავს აგრეთვე ჟენევის იმ შეთანხმებათა შემდგომ დარღვევას, რომელთა მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატებიც არიან. ასეთი მოქმედება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა უცერემონიოდ ლახავს ამერიკის ადმინისტრაცია სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, და ადგილად არღვევს ვალდებულებებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით იკისრეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებს, რომლებიც ვიეტნამელი ხალხის, კამბოჯელი და ლაოსელი პატრიოტების გადამწყვეტ წინააღმდეგობას აწყდებიან, იმედი აქვთ, რომ ლაოსში აგრესიის გაფართოებით გამოასწორებენ თავიანთ საქმეებს, შეაჩერებენ და უკუაგდებენ ინდოჩინეთის მძლავრ განმათავისუფლებელ მოძრაობას, თავს მოახვევენ ამ რაიონის ქვეყნებს ნეოკოლონიალისტურ წესწყობილებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიული მოქმედება გამოიწვევს ვითარების შემდგომ და თანაც სერიოზულ გართულებას ინდოჩინეთში. ეს მოქმედება საფრთხეს უქმნის ლაოსის პოლიტიკური ძალების კონტაქტებს, რომლებიც ამ ქვეყნის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების საძიებლად დამყარდა.

საბჭოთა კავშირში გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის მარიონეტული ჯარების შეიარაღებულ შეჭრას ლაოსში. სავსებით ცხადია, რომ აგრესიული მოქმედება, რომელსაც ამერიკელი ინტერვენტები და მათი საიგონელი მარიონეტები განაგრძობენ და აფართოებენ მსოფლიოს ამ რაიონში, გარდუვალად წაიწყდება ინდოჩინეთის ხალხთა სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, იმ უფლებისათვის, რომ დამოუკიდებლად განაგებდნენ საკუთარ ბედს.

ეჭვი არ არის, რომ ჩაიფუშება იმპერიალისტთა ცდები — ვერ ახშონ ინდოჩინეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა. ინდოჩინეთის პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მიაღწიონ პოლიტიკურ მოწესრიგებას, რომელიც შეესაბამება ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა ეროვნულ ინტერესებს, გაითვალისწინებს მათს უდავო უფლებას იყვნენ სუვერენული ბატონ-პატრონნი საკუთარ სახლში.

ლაოსში, ისევე როგორც მთლიანად ინდოჩინეთში, ვითარების შემდგომი გამწვავებისათვის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს. საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხები, გმობს აგრესორთა სისხლიან დანაშაულებებს და მოითხოვს მათს შეწყვეტას. ინდოჩინეთის ხალხთა სამართლიან ბრძოლას უცვლელად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხები, დედამიწის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

## ვაჰის გამოსვლა

### თეირანი

**4 თებერვალი. (საკლესი).** ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის საგანგებო სესიაზე წარმოთქვა ირანის შაჰმა მოამზადა რეზა ფეჰლევიმ. მან აღნიშნა, რომ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისათვის ნავთობი იმ შემოსავლის ძირითადი წყაროა, რომელიც ხმარდება ამ ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ნავთობის ფასმა რამდენჯერმე დაიკლო. ამ ბოლო წლებში, თქვა მან, ირანული ერთი ბარელი (159 ლტრს უდრის) ნავთობის ფასმა 39 ცენტით დაიკლო.

მოამზადე რეზა ფეჰლევიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალურად გამოყენება.

შაჰმა დამსწრეთ მოაგონა, რომ უშედეგოდ დამთავრდა დასავლეთის უდიდესი ნავთობის კომპანიებისა და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თეირანის მოლაპარაკება ნავთობისაგან მიღებული შემოსავლის უფრო სამართლიანი განაწილების შესახებ, და წამოაყენა წინადადება, რომ საპარსეთის ყურის რაიონის ქვეყნებმა შეიმუშაონ მოქმედების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ამ რაიონის სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

### ლონდონი

## ოლსტერი: ვითარება კვლავ მნვავდება

**4 თებერვალი. (საკლესი).** ჩრდილოეთ ირლანდიის მდგომარეობა მკვეთრად გაუმწვავდა იმის შედეგად, რომ გუშინ ბელფასტში დაიწყო მოსახლეობისა და ინგლისელი ჯარისკაცების ბრძოლა ქუჩებში.

ახალი მღელვარების საბაბი გახდა არმიის მიერ მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრებანი ბელფასტის კათოლიკურ გეტოში ფოლს-როუდში. ინგლისელი ჯარისკაცების თავხედურმა მოქმედებამ, რომელიც ეძებდნენ „იარაღის საიდუმლო საწყობებს“, მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია და სახლიდან ანგარიშით მას მოპყვა გაფორებული შეტაკება არმიასა და ამ რაიონის მცხოვრებლებს შორის.

მღელვარება შემდეგ მოვდო მეზობელ რაიონებს.

ბელფასტში კვლავ გაისმა ცეცხლგამჩენი ბომბების აფეთქების ხმა, გაჩნდა ბარიკადები ქუჩებში.

მღელვარების ადგილას გაგზავნეს დამატებითი სამხედრო ძალები.

### რიო-დე-ჟანეირო

## რიგგარეშე თათბირი

**4 თებერვალი. (საკლესი).** ქვეყნის დედაქალაქ ბრაზილიაში გაიხსნა ლათინური ამერიკის ქვეყნების სპეციალური საოორდინაციო კომისიის რიგგარეშე IX თათბირი. თათბირი მოიწვიეს იმისათვის, რომ მიიღონ გადაწყვეტილება ეგრეთ წოდებული „შაქრის პრობლემის“ გამო, რომელიც წამოიჭრა ამერიკისა და სხვა ბაზრებზე შაქრის მიწოდების შემცირების საფრთხესთან დაკავშირებით.

როგორც პრესა წერს, ლათინური ამერიკის ბევრმა ქვეყანამ ჯერ კიდევ თათბირის მოწვევამდე გადაწყვიტა ბრძოლა გამოეცხადებინა შეერთებული შტატებისა და სხვა განვითარებული ქვეყნებისათვის არა მარტო შაქრის მიწოდების საკითხში, არამედ აგრეთვე, საერთოდ მათ მიერ დადგენილ პროტექციონისტულ ღონისძიებათა გამო.

დამახასიათებელია, რომ პირველ სხდომაზე ჩილესა და ეკვადორის წარმომადგენლებმა პირდაპირ წამოაყენეს წინადადება ლათინური ამერიკის ქვეყნების საკოორდინაციო კომისია გადაქცეონ ამ ქვეყნების ინტერესების დამცველ ძირითად ორგანიზაციად. როგორც გაზეთები წერენ, ასეთსავე პოზიციას ადგანან პერუ, ბოლივია და ურუგვაი.

## იარაღი ხუნტისათვის

### კეთილი

**4 თებერვალი. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს სამხედრო დახმარების გაწევას საბერძნეთის ახლანდელი რეჟიმისათვის. 1969-1970 საფინანსო წელს ამ დახმარებამ შეადგინა 58,1 მილიონი დოლარი.**

ინიღბება რა სტანდარტული ფრაზით, რომ „საჭიროა საბერძნეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, რომლებიც ასრულებენ ნატოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს“, შეერთებული შტატები აპირებს დამატებითი სამხედრო დახმარება გაუწიოს საბერძნეთს მომავალშიც. აშშ-ს ვერ აჩერებს ის ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის ნატოს წევრებმაც კი, დაგმონ საბერძნეთის ახლანდელი რეჟიმი და საქმე იქამდე მივიდა, რომ საბერძნეთი გარიცხეს ევროპის საბჭოდან.

იარაღის მიწოდება საბერძნეთისათვის იზრდება. საბერძნეთის ნავსადგურებში ჩაქცეთ ტანკები და სხვა მძიმე შეიარაღება. ამერიკის გემთსაშენებში შენდება სამხედრო ხომალდები, რომლებითაც აღჭურვება საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სულ ამ რამდენიმე კვირის წინ შეერთებულ შტატებში საზეიმო ვითარებაში, საბერძნეთის ელჩის დასწრებით, საბრძოლო გემების მორიგი პარტია გადაეცა საბერძნეთის ფლოტს.

## პირობითი რეფლექსები და... პოლიციელები



**ერთ** მიაჩნია, რომ პირობითი რეფლექსებზე აკადემიკოს პავლოვის სწავლების პრაქტიკულად გამოყენება მხოლოდ ძალების მოყვარულთა კლუბებსა და ცირკის მანეჟზე შეიძლება, ღრმად სცდებიან. ასევე სცდებიან ისინიც, ვისაც მიაჩნია, რომ ამერიკის პოლიციას არავითარი წვლილი არ მიუძღვის ამ სწავლების განვითარების საქმეში. ამ სტერეოტიპის ავტორი პირობას იძლევა, რომ საწინააღმდეგოს დაამტკიცებს.

ორიოდე წლის წინათ საკუთარი თვალით ვნახე თვით ამერიკელ პოლიციელთა წვრთნა, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენი დიდი თანამემამულის სწავლების მიხედვით. მწვრთნელები ცდილობდნენ გამოეწვიათ პოლიციელებში სიბრაზის მყარი რეაქცია გარკვეულ გამაღიზიანებელზე. ასეთი გამაღიზიანებელი ფაქტორები უნდა ყოფილიყვნენ ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის წევრები. პოლიციის რაზმი, რომელიც წვრთნას გადიოდა, ორად გაყვეს. ნახევარი ჩაცმულიყო და შეიარაღებული იყო ჩვეულებრივად. მეორე ნახევარი დემონსტრანტების როლში გამოდიოდა. ამისათვის პოლიციელ „მსახიობებს“ ეცვათ გახუნებული ჯინსები, ფეიზე — სანდლები, თავზე კი ჩამოცმული ჰქონდათ გრძელთმიანი პარიკები, ზოგიერთს წვერი ჰქონდა მიწებებული და ხელში ეჭირა ფანერის პლაკატები, რომლებზეც საკმაოდ გარკვევით ეწერა: „ბოლო მოვუღოთ ვიეტნამის ომს“, „შინ დაიბრუნეთ ჩვენი ბიჭები“, „ჩვენ არ ვაკეთებთ სასაკლაოზე!“. მეტი დამაჯერებლობისათვის და წვრთნის პირობების სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებისათვის მათ სიმღერებიც კი შეასწავლეს. გადაცმული პოლიციელები მონდომებით მღეროდნენ „ჩვენ ერთს ვამბობთ — მიეცით მსოფლიოს შანსი“.

ის რაც შემდეგ მოხდა, ავტორმა არაერთხელ ნახა, ოღონდ უკვე პოლიციელთა ვარჯიშზე კი არა. ავტორმა კარგად დაინახა, რომ პოლიციელთა კისრები სიბრაზისაგან წითლდებოდა ისევე, როგორც სინამდვილეში, თუნდაც მაშინ, როდესაც ისინი დემონსტრანტებს უსწორდებოდნენ ჩიკაგოში. 1968 წელს. როგორც ჩანს მყარი, დიდხანსმოქმედი რეფლექსი აქვთ გამომუშავებული.

ორი საათის წვრთნის შემდეგ, პოლიციელებმა ტანისამოსი გამოიცვალეს. ვინც მშვიდობას მოითხოვდა, მათ ხელკეტები მიიღეს და ახლა დაიწყეს საჭირო რეფლექსის გამომუშავება. იმდენად კეთილსინდისიერად მუშაობდნენ, რომ მეგონა, მათი კეტებით შეიარაღებული ხელები უნებურად აღმომართებოდნენ ხოლმე, როდესაც თვალწინ ვინმეს გრძელთმიანის სახე და პლაკატი — „ძირს ომი ვიეტნამში“ — გაიელვებდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამერიკელ პოლიციელებს მარტო ამგვარი სიტყვების წყობის წინააღმდეგ რიდი წვრთნიდნენ. ალბათ მათი შეძენილი რეფლექსების ასორტიმენტი გაცილებით უფრო ფართოა. მართალია, ავტორს არ ჰქონია საკმაო მონაცემები ამის დასამტკიცებლად, მაგრამ მას ბედმა გაუღიმა. საკითხი ამერიკელ პოლიციელთა ურთიერთობისა პირობითი რეფლექსების სწავლებასთან როგორც ჩანს, მარტო მას როდი აინტერესებდა. ამას წინათ, როგორც უურნალი „ნიუსუიკი“ ადასტურებს, კალიფორნიის კოლეჯის პროფესორმა ფრენსის სიუსენსტამმა შემდეგი ორიგინალური ექსპერიმენტი განახორციელა.

მან თავის მსმენელებს შორის აარჩია თხუთმეტი სტუდენტი, რომელთა მანქანის ტარების მოწმობები ადასტურებდა, რომ საჭესთან ჯდომის მრავალი წლის განმავლობაში მათი საქციელი აბსოლუტურად შეუბღალავი იყო. გარდა ამისა, უველა მათგანმა ხელი მოაწერა ქაღალდს და პირობა დასდო, რომ უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში განსაკუთრებით ფრთხილად იქნებოდა საჭესთან და არ დაარღვევდა არც ერთ საგზაო ინსტრუქციას.

შემდეგ პროფესორმა ყოველი თხუთმეტი ამორჩეულის ავტომანქანის ბამპერზე მიამაგრა არც თუ მოზრდილი გამაღიზიანებელი — „შავი ავაზების“ პარტიის შავყვითელი ემბლემა და ექსპერიმენტის მონაწილეებს გზა დაულოცა.

უკვე ორი საათის შემდეგ გამაღიზიანებელი ამუშავდა. ერთ-ერთი მძღოლი დაჯარიმეს სრულიად უმიზეზოდ. ორკვირანახევრის მანძილზე თხუთმეტივე მძღოლი, რომლებსაც აქამდე არც ერთი შენიშვნა არ ჰქონიათ მიღებული პოლიციისაგან, დაჯარიმეს, ოცდაცამეტჯერ. ერთი მათგანი — ზანგი — სამჯერ.

ერთი შეხედვით ექსპერიმენტი მარტივი, უბრალო და იაფი. პროფესორს იგი მხოლოდ 500 დოლარი—ჯარიმების თანხა დაუჯდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ექსპერიმენტის შემდეგ მასწავლებლებს, როდესაც თავის მსმენელებთან აკადემიკოს პავლოვის სწავლებაზე საუბრობენ, საშუალება აქვთ მაგალითისათვის მარტო ქრესტომათიული ძაღლები კი არ მოიშველიონ. მაგალითისათვის ამერიკელი პოლიციელებიც ივარგებენ.

პროფესორ სიუსენსტამს მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება სადმე შეერთებულ შტატებში ამერიკელ პოლიციელს ძეგლი დაუდგან და უკვდავყონ ბრინჯაოსა ან ქვაში მისი უდიდესი წვლილი მეცნიერების განვითარების საქმეში. ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე უკვდავყვეს ოთხფეხა ცხოველი.

შენიშვნა: ავტორი წინასწარ გრძნობს მკითხველთა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ თავის კორეს-პონდენციაში ამერიკის პოლიცია მეცნიერებას დაუკბეჭვირდა.

ამიტომ მან უნდა აღიაროს, რომ ეს არც თუ ეშმაკური ხერხი დასავლეთის პრესიდან ისესხა. ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც კერძოდ, ნათქვამი იყო: ჯერბიციდები, რასაც ამერიკის თვითმფრინავები ვიეტნამის მიწაზე აფრქვევენ, მთლიანად სპობენ მიწის სამოსს, რის გამო უზარმაზარ ტერიტორიაზე განადგურდა ტყეები და ნათესები. გარდა ამისა, ისინი იწვევენ მახინჯი ბავშვების რაოდენობის მკვეთრ ზრდას ახალდაბადებულთა შორის. ეს სტატია, რომელიც სამხედრო დამნაშავეებზე მომავალი პროცესის საბრალდებულო საქმეში უნდა ჩაიკრას, გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა რუბრიკით... „მეცნიერება“.

**ჰ. ბოროვიკი.**

ნიუ-იორკი.

* * *

**სურათზე:** აი როგორ გამოიყურებიან გაწვრთნილი და თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ამერიკელი პოლიციელები, როდესაც ისინი მორიგი დემონსტრაციის მეცნიერებას დაუკბეჭვირდა.

საკლესის ფოტოკორონიკა.

## ფაქტები

### გამოვიდა „ფილოსოფიური რვეულები“

**ოფიციალურად** გამოცემულმა „ედიტორი რიუნტამ“ ცალკე ტომად გამოიშვა ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიური რვეულები“. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ეს უცართოდ ცნობილი ნაშრომი გამოვიდა სერიით „თანამედროვე აზრის ბიბლიოთეკა“, იტალიურ ენაზე გამოსაცემად ნაშრომი მოამზადა თვალსაჩინო მარქსისტმა ი. ამბროჯომ.

### კომიტეტი ბანიხილავს

**პრეზიდენტ** ანვარ სადათის თავმჯდომარეობით გაიმართა არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყნის სამხედრო - პოლიტიკური მდგომარეობა და ვითარება ახლო და შუა აღმოსავლეთში.

### პრეზიდენტის სანქციით

**გაზეთი** „ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყება, რომ ლაოსში ამერიკა-საიგონის ჯარების ოპერაციების გეგმა შეიმუშავეს ვაშინგტონსა და საიგონში და პრეზიდენტმა ნიქსონმა დაამტკიცა 27 იანვარს. ამ გეგმის თანახმად, შეტევითს ოპერაციებში მონაწილეობა უნდა მიიღოს 25 ათასმა საიგონელმა და 9 ათასმა ამერიკელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა.

### სპერძნეთის დილეგებში

**საბერძნეთში** ჩაყრილი ბევრი ბერძენი დემოკრატის სიცოცხლისა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ცნობილი გახდა, რომ უკანასკნელ დროს მკვეთრად გაუარესდა არალეგალური ანტიდიქტატორული ორგანიზაციის „დემოკრატიული თავდაცვის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, 70 წლის გენერლის იორდანიდის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც კერკირის კუნძულის საპყრობილეში იმყოფება. საპყრობილის ექიმებმა აღიარეს, რომ მას სიკვდილი ემუქრება. მიუხედავად ამისა საპყრობილის ხელისუფლებამ არ დაკმაყოფილეს თხოვნა გადაეყვანათ იგი საავადმყოფოში.

### გაკოტრების მიჯნაზე

**ინგლისის** კაბინეტი სამ საათს მსჯელობდა საგანგებო სხდომაზე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და დიდი სამრეწველო ფირმის „როლს-როისის“ კრიზისულ ფინანსურ მდგომარეობაზე. „როლს-როისის“ ხელმძღვანელებმა მთავრობას სთხოვეს სასწრაფოდ გაუწიოს ფინანსური დახმარება. „როლს-როისი“ ამუამად აღმოჩნდა გაკოტრების მიჯნაზე იმის გამო, რომ შეიძლება დაკარგოს ამერიკის კომპანია „ლოკჰიდის“ შეკვეთები, აგრეთვე იმის გამო, რომ აქვს გადასახადების დიდი დავალიანება და მისი აქციების კურსი დაეცა ბირჟაზე. შარშან მთავრობამ 42 მილიონი გირვანქა სტერლინგი სუფსიდია მისცა ფირმას.

საკლესი - რეიტერი-ფრანს პრესი-ასოციეიტედ პრესი.

### ძიება, აღმოჩენები

## არქეოლოგების ნაპოვნი

**სიდნეის** სამხრეთით ორმოც კილომეტრზე და თითქმის იმ ისტორიულ ადგილზე, სადაც 200 წლის წინათ ნაპირზე გადმოვიდა კაპიტანი კუკი, ნახეს ავსტრალიელი ბაორიგენების დასასლების ნაშთები.

როგორც გათხრებიდან გამოირკვა, თეთრკანიანთა გამოჩენის შემდეგ ბაორიგენები განაგრძობდნენ აქ ცხოვრებას, მაგრამ მალე გაადევეს ამ ადგილებიდან, ნაპოვნი ნივთების ანალიზი საშუალებას იძლევა აღგილობრივ მცხოვრებთა ყოფის სურათი აღვადგინოთ. ნაპოვნია კარგად შენახული ქვის შუბის პირები, ქვის ნაჯახები, თევზსაჭერი მოწყობილობა, თევზისა და ძაღლ დინგოს ძვლები. ეს ყველაფერი ბაორიგენთა რაციონის დადგენის საშუალებას იძლევა.

სხვა ნაპოვნი მეტყველებს ოჯახში შრომის განაწილებაზე. როგორც ჩანს, ქალები უფრო იოლ სამუშაოს ასრულებდნენ შინ, მამაკაცები ნადირობდნენ და იარაღს ამზადებდნენ. დასახლების ნარჩენები ერთ-ერთი უძველესი არქეოლოგიური ნაპოვნია ავსტრალიაში.

### ჯურჯელი ენციოლოგიდან

**უძველესი** დასახლების ნაშთები, რომლებიც სპილენძის ხანას (ენციოლითი) განეკუთვნება, აღმოაჩინეს უნგრეთის სოფელ ფელდეს მახლობლად. იგი უნგრეთის სამხრეთში მდებარეობს. არქეოლოგიური გათხრების დროს ნახეს უძველესი საცხოვრებლისა და კერის ნაშთები, აგრეთვე საოჯახო ნივთები. მათ შორის საჭმლის შესანახავი ჭურჭელი, რომლის სიმაღლე 60 სანტიმეტრია, ხოლო დიამეტრი — 50 სანტიმეტრი, მიაჩნიათ, რომ იგი ოთხი ათასი წლის წინათ არის დამზადებული.

საკლესისა და „ბუდაპრესის“ მასალების მიხედვით.

## თავისუფლება ანჯელა დევისს!

**ამერიკის** შეერთებული შტატები. „თავისუფლება ანჯელას“ — ეს მთელი პროგრესული ამერიკის ძირითადი ლოზუნგი გახდა. სხვადასხვა ასაკისა და კანის ფერის, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და პროფესიის ადამიანები მგზავრობდ ჩადგნენ ზანგთა მოკალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლის ანჯელა დევისის დამცველთა მრავალათასიანი არმიის რიგებში.

ფოტო გაზეთ „ვილლს ფორლდიდან“.

## დელფინები ეხმარებიან მეგადურებს

**მავრიტანიის** ატლანტის ოკეანეს სანაპიროზე სახლობს ამერგანების პატარა ტომი, რომელიც ტროპიკული სხივებით გამთბარ ტიმორისის ყურის წყლებში უძველესი დროიდან იჭერენ თევზს და ამ საქმეში, ერთი შეხედვით უწესეულო, თანამშრომლობა აქვთ დამყარებული დელფინებთან.

როდესაც მეგადურები ნაპირთან არც თუ შორს თევზის ქარავანს აღმოაჩენენ, მაშინვე წყალზე ჯოხების ტლაშუნს ატეხენ ხოლმე. ხმაურზე დელფინები მოცურდებიან და თევზს ნაპირისაკენ მიერეკავენ, იქ კი მათ წინასწარ დაგებული ბადეები ელოდებათ. ეს თანამშრომლობა ორივე მხარისათვის ხელსაყრელია. მეგადურები კმაყოფილნი რჩებიან ნადავლით, დელფინები კი თავისუფლად შეეცევიან გემრიელ საჭმელს.

დელფინებისა და ადამიანების ამ მეგობრულ თანამშრომლობას ერთი თვის მანძილზე ადევნებდა თვალყურს აკვალანგისტების ჯგუფი ცნობილი ფრანგი ოკეანოლოგის ივ კუსტოს მეთაურობით. მათ ბევრი რამ ახალი და საინტერესო შეიტყეს დელფინებზე. მაგალითად, დაადგინეს, რომ დელფინები, რომლებიც მეგადურებს ეხმარებიან, აქამდე ნაკლებადცნ

# საქართველოს ქუთა-ბარეში

## შინმოუსვლელთა პატივსაცემად

**მახარაძე.** (საკ. კორ.). ბევრმა გურიანთელმა ისახელა თავი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ერთ-ერთი მათგანი იყო საბჭოთა კავშირის გმირი, ცნობილი სნაიპერი ვასო კვაჭანტირაძე. მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა ვაუკაცი შშობლიურ სოფელში, იგი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

სულ 200-ზე მეტი გურიანთელი იბრძოდა დიდ სამამულო ომში. ამათგან 120 კაცი სახლში აღარ დაბრუნებულა, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. სოფელში კეთილი სიტყვით იგონებენ მამაცურად დაღუპულ ძმებს — შალიკო, გერმანე და იასონ შარაძეებს, კარლო ბელიკანიძეს, ტიტიკო მალაზონიას და სხვა მრავალს.

შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად სოფლის ცენტრში მაღლივრმა გურიანთელებმა თავიანთ ღირსეულ შვილებს დიდებული ობელისკი აუგეს. საუხოოდ ნაგები ეკალრის ქვის ობელისკის სიმაღლე 7 მეტრს აღწევს. ყოველი წლის 9 მაისს — გამარჯვების დღეს, გურიანთელები მივლენ ხოლმე ობელისკთან, რათა პატივი სცენ სოფლის ღვიძლ შვილებს — შინმოუსვლელ ვაუკაცებს.

## 20 მილიონი მგზავრი — ტროლეიბუსით

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ტრანსპორტის ყველაზე იაფი და ხელსაყრელი სახე — ტროლეიბუსი.

ახლა ქალაქში 60 კილომეტრი საერთო სიგრძის 7 სატროლეიბუსო მაარშუტია. გასულ წელს გაიხსნა კიდევ ერთი ახალი მარშრუტი, რომლითაც გამარჯვების მოედანი მარქსის ქუჩას (ელექტრომექანიკური ქარხნის დასახლება) უკავშირდება. მემდინარე წელს 1,6 კილომეტრი წრიული სიგრძით გაგრძელდება № 4 მარშრუტი, რომელიც ავტოქარხნის ქუჩაზე გადას.

გასულ წელს ქუთაისის ტროლეიბუსებმა 20 მილიონამდე მგზავრი გადაიყვანეს.

## ავტომოტოკლუბი

**ლენინგორი.** (საკ. კორ.). ავტომოყვარულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — რაიონულ ცენტრში „დოსაააფის“ შენობაში გაიხსნა ავტომოტოკლუბი. ავტოსაქმის შემსწავლელთა მსურველი ბევრია ლენინგორში — ავტომანქანის მართვის შესწავლას უკვე შეუდგა 30 ახალგაზრდა. სწავლების ხანგრძლივობა 5 თვეა. მანქანის მართვის გარდა ავტომოყვარულები შეის წ ა ვ ლ ი ა ნ ტრანსპორტის მოძრაობის წესებს.

## სპორტული მაღაზია „მეშახტე“

**ტყიბული.** (საკ. კორ.). სიახლეა ქალაქის სავაჭრო ქსელში. გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი სპორტული მაღაზია „მეშახტე“, რომელსაც აქვს ორი სექცია — ავტომოტოველოსიპედებისა და სპორტული საქონლისა. სპორტის მოყვარულთათვის თაროებზე გამოფენილია ტანსაცმელის, ტრიკოტაჟისა და სპორტული ინვენტარის მრავალფეროვანი ასორტიმენტი.

# აშენდა, გაიხსნა ახლახან

**ლენტეხი.** (საკ. კორ.). ლეუშერი ძველისძველი სოფელია სვანეთში. ბოლო წლებში მან საგრძნობლად იცვალა სახე. ბევრმა კოლმეურნემ ახალი ოდა-სახლი აიშენა. ყველა ოჯახში ილიჩის ნათურები კიაფობს, ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა რადიო.

ახლახან აქ საეპსლოატაციოდ გადაეცა სამავშვო ბაღი, სასოფლო მაღაზია და ახალი წყალსადენი. მალე კი ლეუშერელებს ექნებათ ახალი საკოლმეურნეო კლუბი და ბიბლიოთეკა.

**ვანი.** (საკ. კორ.). მდინარე ხულორზე საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინა-ბეტონის კაპიტალური ხიდი.

**ახალციხე.** (საკ. კორ.). საქვაჭრობის განყოფილებამ ორბელიანის ქუჩაზე გახსნა სასადილო-დარბაზი „სამცხე“, რომელიც გაფორმებულია ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატებით.

მხატვარმა ა. გოგოლაძემ დარბაზი მოაქცია ერთ არქიტექტურულ მთლიანობაში, რისთვისაც მოხერხებულად გამოიყენა მეტყველი საშენი მასალა და საღებავები.

**ამბროლაური.** (საქდესი). ამ დღეებში დამთავრდა ამბროლაურის საკონსერვო ქარხნის მშენებლობა. ქარხანამ უკვე გამოუშვა ხილის კონსერვების პირველი პარტია. კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ახალი საწარმოს პროდუქციის ხარისხს.

ქარხნის წლიური მწარმოებლობაა ხუთი მილიონი პირობითი ქილა კონსერვი. ქარხანა გამოუშვებს აგრეთვე ჯემს, კომპოტს, ხილფაფას, ექსტრაქტებს, ნატურალურ წვენებს, ლიმონათს და სხვა პროდუქციას.

ჟურნალების ახალი ნომრები

## „საქართველოს აგიტატორი“ № 3

**გამოვიდა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალის ახალ ნომერში დაბეჭდილია წერილები და სტატიები: **ენგურჰესის მშენებლები დიად თარიღებს; გ. ყურაშვილი** — საბჭოთა შეიარაღებული ძალები; **გ. ბასილაშვილი** — საწელმწიფო საგგმო კომიტეტის 50 წელი; **ო. ბაქანიძე** — სახელოვანი უკრაინელი მგოსანი; **დიდი საბჭოთა მეცნიერი** (ნ. მუსხელიშვილის დაბადების 80 წლისთავისთვის); **ი. ბარბაქაძე** — ესტაფეტა გრძელდება; **ვ. ყიფიანი** — პარტიის რაიკომის მნიშვნელოვანი რგოლი; **ნ. ჩიგოგიძე** — შეხვედრის ადგილი კლუბი; **გ. გუჯაბიძე** — რა არის ღმერთი?; **კ. კალანდაძე** — ევროპის უშიშროების განმტკიცება — დროის კარნახი და სხვა მასალები.

## „სკოლა და ცხოვრება“ № 1

**გამოვიდა** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ **„სკოლა და ცხოვრების“** პირველი ნომერი.

# ДИДИ ИНТЕРЕСИ

**ჩვენი** გაზეთის მკითხველებს ახსოვთ, თუ რა დიდი წარმატება ჰქონდა 1969 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეებს. იმ ხანად გერმანიის ოთხ ქალაქში — ბერლინში, დრეზდენში, გერასა და ზულში მოწყობილი იყო ქართული არქიტექტურის ფოტოგამოფენები, რომლებზეც წარმოდგენილი იყო როგორც ჩვენი ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლები, ისე თანამედროვე არქიტექტორთა შესანიშნავი ნამუშევრები. გამოფენებმა მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სწორედ ამიტომაც იყო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიისა და არქიტექტორთა კავშირის ორგანოს „დოიტჩე არქიტექტურის“ რედაქციამ სთხოვა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, არქიტექტორ **სიმონ კინწურაშვილს** დაეწერა მათი ჟურნალისათვის სტატია ქართული არქიტექტურის შესახებ.

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო „დოიტჩე არქიტექტურის“ მე-10 ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია ს. კინწურაშვილის სტატია სათაურით „ქართული არქიტექტურა“ და აქვე დაბეჭდილია ძველი და საბჭოთა ქართული ხუროთმოძღვრების ალბომ-ალბომი 30 ილუსტრაციი.

### ქართული არქიტექტურა გერმანულ ჟურნალში

ქართულმა არქიტექტურამ, როგორც ნაციონალური კულტურის ორგანულმა და მნიშვნელოვანმა ნაწილმა, შექმნა ეროვნული თვითმყოფადობით გამორჩეული, თავისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი იერის მქონე შედეგები.

სტატიაში ფართოდ არის ნაჩვენები როგორც წინაფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალა, ისე განსაკუთრებით ფეოდალური ხანის არქიტექტურის ყველა ეტაპისათვის დამახასიათებელი სტილისტური თავისებურება და დამახასიათებელი ძეგლები. ილუსტრაციებზე გამოსახულია ანტიკური ხანის მცხეთის აკლდამა და უფლისციხის კლდე-ქალაქი, ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი, სამთავისი... ქვაზე და ხეზე კვეთის ნიმუშები, ქართლის „დარბაზი“ და სვანური კოშკები...

ასევე ფართოდ არის ნაჩვენები ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზები, მისი მიღწევები, თავისებურებანი. აქაც ტექსტი კარგად არის ილუსტრირებული თბილისის ზედებით, უკანასკნელ წლებში აგებული საინტერესო ობიექტების ფოტოებით, როგორიც არის 300 არაგველის ობელისკი, სპორტის სასახლე, ქორწინების სახლი, სასტუმრო „ივერია“ და სხვ.

ს. კინწურაშვილი გერმანელ მკითხველებს მოუთხრობს საბჭოთა ქალაქთმშენებლობის, ქალაქების, სოფლებისა და კურორტების განაშენიანების მიღწევებზე, არქიტექტურული კადრების მომზადების მაღალ დონეზე, ხელოვნებათა სინთეზის განვითარებაზე.

დასასრულ ს. კინწურაშვილი აღნიშნავს: „ვიმედოვნებთ, რომ ეს სტატია ინტერესს გაუღვიძებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებს, რათა მათ უფრო ახლოს შეისწავლონ ქართული არქიტექტურა“.

გერმანული ჟურნალის ასეთი დაინტერესება ქართული არქიტექტურით ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რაოდენ იზრდება და ფართოვდება ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობა.

აღსანიშნავია, რომ ამ სტატიის მომზადებაში და დაბეჭდვაში ჟურნალს დიდი დახმარება გაუწია ჩვენმა თანამემამულემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი წულუკიძემ, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ბერლინში.




## უჩვეულო თოვლი კამჩატკაზე

**კამჩატკის პეტროპავლოვსკი,** 3 თებერვალი. (საკდესის კორ.). ამ ბოლო ათ დღეში ნახევარკუნძულს შვიდმა ციკლონმა გადაუარა. მეტეოროლოგთა ცნობით, ამ დროის მანძილზე იმდენი ნალექი იყო, რაც შვიდი თვის ნორმას შეადგენს. მთელ რიგ ადგილებში მავთულებზე დახვავებული თოვლის სისქე აღწევდა 80 სანტიმეტრს დიამეტრში.

თოვლისაგან ქუჩების გასაწმენდად დღე და ღამ მუშაობს ტექნიკა. ყველგანმავლობს ქალაქისა და დაბების მაღაზიებში მიაქვთ სურსათი და საჭირო მასალები. აეროპორტის მუშაკებმა ისარგებლეს ციკლონებს შორის ხანმოკლე შესვენებით და საჩქაროდ მოამზადეს ასაფრენ-დასაჯდომი ზოლები, მიიღეს რამდენიმე თვითმფრინავი მოსკოვიდან, ხაბაროვსკიდან და ვლადივოსტოკიდან.

მეტეოროლოგების ცნობით, უახლოეს დღეებში ნახევარკუნძულზე ნორმალური ამინდი იქნება.

# ახალი კურსი — სამხრეთი ამერიკა

**8 თებერვალს** სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. ახალი მწვრთნელის სპორტის დამსახურებული ოსტატის ვალენტინ ნიკოლაევისა და მისი თანაშემწის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსი პარამონოვის ხელმძღვანელობით. ჩვენი ოცი საუკეთესო სპორტსმენი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის, რომელთაგან პირველი გაიმართება 30 მაისს ლუჟნიკში ესპანეთის ნაკრებ გუნდთან, მოაწყობს მზადების პირველ ეტაპს.

ნაკრების შემადგენლობაში შევიდნენ: **მეკარეები** — ვიქტორ ბანიკოვი (მოსკოვის „ტორპედო“), ლეონიდ შმუცი (ცსკა) და ვლადიმერ ოლეინიკი (ორჯონიკიძის „სპარტაკი“); **მცველები** — რევაზ ძოძუაშვილი (თბილისის „დინამო“), იური ისტომინი, ვლადიმერ კალინინი, მარიან პლახუტკო და ალბერტ შესტერნიოვი (ყველა ცსკა-დან), ევგენი ლოვჩევი (მოსკოვის „სპარტაკი“); **ნახევარმცველები** — ნიკოლოზ დოლგოვი, ვლადიმერ ფედოტოვი (ორივე ცსკა-დან), ნიკოლოზ კისლიოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვლადიმერ მუნტიანი (კიევის „დინამო“) და იგორ კულჩიცკი (ლვოვის „კარპატი“); **თავდამსხმელები** — ვლადიმერ დუდარენკო, ბორის კოპეიკინი (ორივე ცსკა-დან), გენადი ევროუეიხინი და ვლადიმერ ეშტრეკოვი (ორივე მოსკოვის „დინამოდან“), გივი ნოდია (თბილისის „დინამო“) და ვიტალი შევჩენკო (ბაკოს „ნეფტჩი“).

ვარაუდობენ, რომ ჩვენი ნაკრები სამხრეთ ამერიკაში გამართავს ექვს მატჩს. პირველი გაიმართება **7 თებერვალს** ლიმაში პერუს საუკეთესო გუნდ „კრისტალთან“, შემდეგ კი ჩვენი ფეხბურთელები გამოვლენ **კოსტა-რიკაში, პანამაში, სალვადორსა** და **მექსიკაში.** (საკდესი).

## ევროპის შესარჩევი...

**განახლდა** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები ფეხბურთში. მორიგი მატჩები შედგა ლიეჟსა (ბელგია) და ლა ვალეტაში (მალტა).

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ინგლისის ნაკრები შეხვდა მალტის გუნდს და გაიმარჯვა 1:0. ეს ერთადერთი გოლი 35-ე წუთზე გაიტანა პიტერსმა.

ლიეჟში თამაშობდნენ ბელგიისა და შოტლანდიის გუნდები. წარმატება ბელგიელებს ხვდათ 3:0 (1:0).

სულ 1971 წელს რვავე შესარჩევ ჯგუფში გაიმართება 68 მატჩი. ჯერჯერობით მეოთხედფინალში გასელის შანსები აქვთ: რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის (პირველი ჯგუფი), უნგრეთისა და საფრანგეთის (მეორე), შვეიცარიისა და ინგლისის (მესამე) ესპანეთის, სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის (მეოთხე), ბელგიისა და პორტუგალიის (მესუთე), იტალიისა და შვეიცის (მეექვსე), გდრ-სა და იუგოსლავიის (მეშვიდე) და გფრ-ისა და პოლონეთის (მერვე) გუნდებს.

## ვ. ბრუმელი მძლეოსნურ სექტორზე

**კაუნასში** გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი ქალაქის თასზე. ყურადღების ცენტრში იდგა სიმაღლეზე მხტომელთა ასპარეზობა, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდა მსოფლიოს რეკორდსმენი ვალერი ბრუმელი. მან ამ შეჯიბრებაზე დაძლია სიმაღლე 2 მეტრი.

თასი კი მოიპოვა ვილნიუსელმა სტუდენტმა კუსტუტის შაპკამ შედეგით — 2 მეტრი და 21 სანტიმეტრი. ეს დახურული შენობების ახალი საკავშირო რეკორდია. წინანდელი რეკორდი — 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი, რომელიც აგრეთვე კაუნასის სასპორტო დარბაზში იქნა დამყარებული, ეკუთვნოდა ვ. ბრუმელს. მეორე ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა — 214 სანტიმეტრი. ევროპის ჩემპიონი ვ. გავრილოვი მეოთხე იყო — 205 სანტიმეტრი.

## ოლიმპიური ტურნირი

**ციურიხი,** 4 თებერვალი. (საკდესი). ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა 1972 წლის ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი შეხვედრების თარიღები.

სსრ კავშირის ნაკრები (უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე პონომარიოვი) შეჯიბრების პირველ ეტაპზე 2 ივნისს საკუთარ მოედანზე შეხვდება ჰოლანდიის გუნდს. სპასუხო მატჩი 16 ივნისს გაიმართება. პირველ შესარჩევ ჯგუფში შედიან აგრეთვე საფრანგეთისა და ისლანდიის, ლუქსემბურგისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები.

ამ წყვილებში გამარჯვებულნი სსრ კავშირისა თუ ჰოლანდიის ფეხბურთელებთან ერთად გაიმამაშებენ წრიულ ტურნირს თექვსმეტი საუკეთესო ოლიმპიური გუნდის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

## კალათბურთი

**კალათბურთელ** ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობაზე უკანასკნელ მატჩებში თბილისის დინამოელებმა თვალსაჩინოდ გამოასწორეს თავიანთი სატურნირო მდგომარეობა. ამიტომ გუშინდელი მატჩი სპორტის სასახლეში თბილისის „დინამოსა“ და რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის კალათბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იდგა.

დინამოელთა სასტარტო ხუთეულში იყვნენ: საკანდელაძე, სხირელი, ქორქია, ჩიხლაძე, ბოლქვაძე. თამაშის მსვლელობაში იცვლებოდნენ მოთამაშეები. კალათბურთის მოყვარულებმა კვლავ ინიღლეს მოედანზე ა. ლეჟავა.

ანგარიში საკანდელაძემ გახსნა. დინამოელები მთელი ტაიმის მანძილზე ინარჩუნებდნენ უპირატესობას და მოიგეს იგი 48:39. შეორე ნახევარში რიგელები ცდილობდნენ ბრძოლაში გარდატეხის შეტანას, ერთ პერიოდში ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდევაც, მაგრამ ეს იყო და ეს. დინამოელები კვლავ დაეუფლნენ ინიციატივას და გაიმარჯვეს 94:82.

ყველაზე მეტი ქულა — 26 თბილისელებს მოუტანა საკანდელაძემ.

3 თებერვალს ტალინში ერთმანეთს შეხვდნენ ტარტუს „კალევისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. წარმატება „კალევს“ ხვდა 76:60 (39:38).

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის. ასპარეზობა მიმდინარეობს მოსკოვსა და ვილნიუსში.

ერთ-ერთმა ლიდერმა ლენინგრადის „სპარტაკმა“ 3 თებერვალს მოსკოვში დაამარცხა თანაკლუბელები 80:49 და ახლა 12 ქულა აქვს. ამდენივე ქულა აქვს მეორე ლიდერს — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდს, რომელმაც ამავე დღეს ვილნიუსში დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“ 80:43.

3 თებერვლის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — კაუნასის „პოლიტექნიკა“ 84:63, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 84:75, ვილნიუსის „კიბირკშტისი“ — მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“ 60:42, „პეტერესტნეკი“ (ლენინგრადი) — „სტალი“ (დნეპროპეტროვსკი) 63:39.

## ოლიმპიადა, ქვარცხლბეჭედი საბჭოთა წყვილები

**ციურიხის** სპორტულ დარბაზში — „ჰალენ-შტადიონში“ ჩვენი კონტინენტის უძლიერესი ფიგურისტები განაგრძობენ ასპარეზობას ევროპის პირველობაზე.

3 თებერვლის შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იდგა წყვილთა გამოსვლები ნებისმიერი პროგრამით. სავალდებულო პროგრამით ასპარეზობის შემდეგ წინ იყვნენ საბჭოთა წყვილები — ი. როდნინა და ა. ულანოვი, ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი, გ. კარელინა და გ. პროსკურინი.

საბჭოთა ფიგურისტებს არც ნებისმიერი პროგრამით გამოსვლაში ჰყადათ ბადალი და სამივე საპრიზო ადგილიც მათ ხვდათ. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა თავიანთ ტიტულებს კიდევ ერთი მაღალი წოდება — უკვე ევროპის სამგზის ჩემპიონობა მიუმატეს. მათ მოაგროვეს 421,1 ქულა (ადგილების ჯამი 9). ისევე როგორც შარშან, ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი — 416,7 ქულა (ადგილების ჯამი 18). ბრინჯაოს მედლები პირველად მოიპოვეს მოსკოველებმა გ. კარელინამ და გ. პროსკურინმა — 404,2 ქულა (ადგილების ჯამი 31).

ამრიგად, გამარჯვებულთა ქვარცხლბეჭედის სამივე საფეხურზე საბჭოთა წყვილები ავიდნენ.

სავალდებულო პროგრამით გამოსვლები დამთავრეს ეიგებმა. წინ არის ევროპის ორგზის ჩემპიონი ო. ნეპელა (ჩეხოსლოვაკია). მას მიჰყვებიან საბჭოთა ფიგურისტები ს. ჩეტვერუხინი და ს. ვოლკოვი. საპრიზო ადგილების ბედს გადაწყვეტს ასპარეზობა ნების მ ი ე რ ი პროგრამით.

დამთავრეს აგრეთვე წინასწარი შეხვედრები მოცეკვავეებმა. ლიდერობენ მსოფლიოს ჩემპიონები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი. მათ 0,5 ქულით ჩამორჩებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები დაიმმა ანდელაკა და ერიკ ბუკები. ბრძოლაში ჩაებნენ ქალები. აქ საბჭოთა კავშირიდან გამოდიან მ. ტიტოვა და ე. ალექსეევა.

• • •

**სურათზე: ი. როდნინა და ა. ულანოვი ვარჯიშის დროს.**
ფოტო ე. შადეევისა და ვ. ნიკოლაევისა
(საკდესის ფოტოქრონიკა)

## ბაკურიანის თოვლიან გილიკებზე

**ბაკურიანი.** 4 თებერვალი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ სტარტი აიღო სათხილამურო რბოლებში სსრ კავშირის თასის გათამაშებამ, რომელშიც მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებისა და სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

სტარტზე გამოვიდა ყველა უძლიერესი, გარდა იმ ექვსიოდე სპორტსმენისა, რომლებიც იაპონიის ქალაქ საპოროში წინაოლიმპიურ კვირეულზე საასპარეზოდ გაემგზავრნენ.

პირველ დღეს ქალები 5 კილომეტრზე რბოლაში იდიდენენ ძალებს. ბრძოლაში 52 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველას გაუსწრეს უკრაინელებმა. გიმარჯვა ირინა ვლადიმიროვამ („ავანგარდი“) — 19.40,0.

ვაჟები 15 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში საზოგადოებებს შორის დაწინაურდა „დინამო“, ხოლო რესპუბლიკებსა და ქალაქებს შორის — მოსკოვის ნაკრები.

## ნახევარფინალისწინა ბნელბილია

**ბრძოლდება** ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის. უკანასკნელი ნახევარფინალისტი გამოავლინა კოპენჰაგენის გუნდისა და ტბილისოარის უნივერსიტეტის ხელბურთელთა მატჩმა. აქ წარმატება კოპენჰაგელებს ხვდათ.

თასისათვის ბრძოლას განაგრძობს აგრეთვე კიევის „სპარტაკი“. თუ ვინ იქნება მისი მეტოქე ნახევარფინალში, ამას გამოარკვევს წილისყრა. გარდა კიევის „სპარტაკისა“ და კოპენჰაგენის გუნდისა ნახევარფინალში გავიდნენ აგრეთვე უნგრეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონები.

## სპორტული თებერვალი

**თებერვლის** სპორტულ ასპარეზობათა კალენდარი მდიდარია არა მარტო საკავშირო მნიშვნელობის ასპარეზობებით, არამედ საერთაშორისო შეხვედრებით, სხვადასხვა ტრადიციული ტურნირებით, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებით. მაგრამ ყველაზე მასობრივ ასპარეზობად უნდა ჩაითვალოს პროფკავშირთა ზამთრის მეშვიდე სპარტაკიადის ფინალი, რომელიც საზეიმოდ გაიხსნება 28 თებერვალს სვერდლოვსკში.

საკავშირო მნიშვნელობის შეხვედრებიდან უნდა გამოვყოთ ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდების ჩემპიონატები, სსრ კავშირისა და „იზვესტიის“ თასის გათამაშება მძლეოსნობაში, სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი ჰოკეიში და სხვა. შესვედრები. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო რბოლებში, რაც გუშინ დაიწყო ბაკურიანში და სამ დღეს გაგრძელდება.

საერთაშორისო ტრადიციული ტურნირებიდან აღსანიშნავია ევროპის ჩემპიონთა თასისა და თბილების მფლობელთა თასის გათამაშებანი კალათბურთში, ფრენბურთში, სადაც სხვებთან ერთად საბჭოთა საკლუბო გუნდები გამოდიან. ამას უნდა დავუმატოთ თავისუფალი სტილის მოჭიდაებათა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი „საქართველოს თასზე“, რომელიც 26-28 თებერვალს შედგება თბილისის სპორტის სასახლეში 9 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში, რომელმაც 2 თებერვალს აიღო სტარტი ციურიხში, ხუთ დღეს გაგრძელდება. მსოფლიოს პირველობა ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთა შორის შედეგება ფინეთში 6-7 თებერვალს, ვაჟთა ჩემპიონატი კი შვეიცარიაში 13-14 თებერვალს. ფიგურული მოციგურაგეები მსოფლიო პირველობას გაითამაშებენ საფრანგეთში 23-28 თებერვალს.

## ავტოშემთხვევა

# ლოთები საჭესთან



**სოფელ** ბობოყვათში შამილიშვილებმა ორსართულიანი სახლი ააგეს. ამის აღსანიშნავად პურმარილი გაშალეს. მიიპატიჟეს ნაცნობ-მეგობრები ბათუმიდან, ქობულეთიდან, ახლომახლო სოფლებიდან. სტუმრები მოსული იყვნენ „ვოლგებით“, „მოსკვიჩებით“, სატვირთო და თვითსაცლელი ავტომანქანებითაც კი.

თამადობდა აჭარსოფლტექნიკის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი დურსუნ დავითის-ძე ჯიჯავაძე. სუფრაზე მკაცრი და ულმობელი იყო დურსუნი. ყანწში წვეთს არავის ატოვებინებდა. გაჭიანურდა პურმარილი, არ იქნა და არ დამთავრდა. ფეხზე ძლივს იდგნენ მძღოლები და თანაც ლუღლუღით ტრაბახობდნენ — მანქანას სიმთვრალეში უკეთ ვმართავთო.

ზოგმა წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ თამადა — დურსუნ ჯიჯავაძე ჭირვეულობდა: ჩემს სუფრის წევრებს ფეხით როგორ ვაკადრებ წასვლას, აგერ ჩემი საკუთარი „ვოლგა“ დგას, ნიაზი დაჯდება და ის წაგიყვანთო.

აჭარსოფლტექნიკის ინჟინერი ნიაზ დურსუნის-ძე ქონიაძე კი ისე იყო გამობრუჟული, რომ ფეხზე ძლივს იდგა. აღსანიშნავია, მას მანქანის მართვის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა სწორედ ლოთობისათვის. ეს ამბავი კარგად იცოდა სუფრის თამადამაც, ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსმა დ. ჯიჯავაძემ, მაგრამ ის არც კი შეუყომანებულა, როცა თავისი „ვოლგის“ გასაღები გადასცა.

არც ბათუმის პირველი ავტოსატრანსპორტო წარმოების მძღოლს ისკანდერ ბასილიძეს დაუკლია ღვინო. ყანწს ყანწზე ცლიდა და, ასე მტერი დაგეცალოთო, იძახდა. მერე თვითსაცლელი მომართა, ჩასხა მთვრალი სტუმრები და გაიქანა მანქანა.

ბობოყვათში მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. „ვოლგა“, რომლის საჭესთანაც ნიაზ ქონიაძე იჯდა, და თვითსაცლელი, რომელსაც ისკანდერ ბასილიძე მართავდა, ერთმანეთს დაეჯახნენ. მანქანები, ცხადია, დაილეწნენ. ნ. ქონიაძე და „ვოლგაში“ მჯდომი მაყვალა სოხაძე ადგილზევე დაილუპნენ, ხოლო ი. ფ. სახვაძე, ი. ბ. სახვაძე, ინდირა სახვაძე, კ. და მ. კვაჭაძეები და კ. მუკავა დასახიჩრდნენ.





ეს სამწუხარო ამბავი ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ზოგიერთ ავტოსატრანსპორტო კანტორას სათავეში უდგანან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით ხშირად სხვათა უბედურების მიზეზი ხდებიან.

დასასრულ საკითხავია, ნუთუ სუფრაზე ერთი მაინც არ აღმოჩნდა ისეთი, ვინც განგაშს ასტეხდა, როცა გალეშილი ადამიანები საჭეს მიუსხდნენ?!

**ბ. ახალაძე.**

• • •

**სურათებზე:** ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში მომხდარი ავარიის შემდეგ ასე გამოიყურება თვითსაცლელი მანქანა, რომელსაც ი. ბასილიძე მართავდა (ზემოთ). ქვემოთ — დ. ჯიჯავაძის დალეწილი საკუთარი „ვოლგა“.


**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**


## ტელევიზია

**5 თებერვალი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.45 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — მხატვრული ფილმი — „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის „ისინი შენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“ — სერგო ორჯონიკიძე, 18.50 — გადაცემა „თბილისის სვალინდელი დღე“, 19.30 — საბჭოთა რესპუბლიკების სატელევიზიო ფესტივალი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი — ბელორუსიის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „კანონი და კანონიერება“, 22.35 — ფერადი ტელევიზია. ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში (გადმოცემა შვეიცარიიდან).

**6 თებერვალი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინოპროგრამა, 11.45 — „მომავალი იბადება დღეს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — მუსიკალური ფილმი — „ბუდაპეშტის მოტივები“, 12.45 — სატელევიზიო სპექტაკლი „ლედი უინდერმირის მარაო“. საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 14.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 14.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა“, 15.35 — დოკუმენტური ფილმი — „საფრანგეთი — სიმღერა“, (ქართულ ენაზე). 16.35 — „ცეროდენას ეკრანი“, 17.00 — მოსწავლეთათვის კავშირგაბმულობის კულტურის სახლთან არსებულ თვითმოქმედ კოლექტივ „ია“ კონცერტი, 17.30 — კინონარკვევი, 18.05— „სპორტული კალეიდოსკოპი“, 18.50 — ახალგაზრდობისათვის „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ აფხაზეთის ზონა, 20.05 — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — ქობულეთის რაიონი, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.25 — სტუდიაში პოეტი გრიგოლ აბაშიძე, 23.00 — „კინოპანორ